შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური ფარგლები ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პირისპირ

(ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლების კონტექსტში)

თამარ ფაჩულია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ფაჩულია

25/06/2024

აბსტრაქტი

დემოკრატიულ სახელმწიფოში შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებები მხოლოდ ანგარიშგასაწევი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა არცთუ ისე იშვიათ შემთხვევებში სახელმწიფო ამ უფლებებში ფორმალური საფუძვლითა და არაპროპორციული ფორმით ერევა. ფორმალურ საკანონმდებლო საფუძველს ხშირად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე პოლიციის რეაგირება ქმნის. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, განსაკუთრებით აქტუალურია შეკრებისა და გამოხატვის უფლებებით დაცული ქმედებების შეფასება წვრილმან ხულიგნობად და მოხელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობად.

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს შეკრებისა და გამოხატვის კონსტიტუციური უფლებების რეალიზების ფარგლები და სტანდარტები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებთან მიმართებით.

სისტემური, ანალიზისა და შედარებით-სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით ნაშრომში აღწერილია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების კონსტიტუციური ფარგლები, დაიდენტიფიცირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებთან დაკავშირებული საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები. ადვოკატებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები სამართალდარღვევის საქმეების განხილვის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით.

საძიებო სიტყვები: ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, შეკრების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, პროტესტი, არაპროპორციული ძალა, დაკავება.

Abstract

In a democratic state, the fundamental freedoms of assembly and expression should only be restricted to protect a legitimate, accountable interest. However, these rights are often compromised disproportionately and based on merely formal justifications. Such formal legal bases frequently arise from police responses to administrative offenses. It is particularly common to categorize actions protected by the rights to assembly and expression as Disorderly conduct or Non-compliance with a lawful order.

This paper aims to explore the extent and standards of exercising the constitutional rights of assembly and expression, specifically in the context of Articles 166 and 173 of the Code of Administrative Offenses.

Using systematic, analytical, and comparative legal methods, the paper describes the legislative and practical challenges associated with these articles. Based on interviews with lawyers and analysis of statistical data, paper offers specific recommendations to improve the standards for handling cases of administrative offenses.

Key words: administrative offense, freedom of assembly, freedom of expression, protest, disproportionate force, detention.

მადლობა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარების, ცოდნის გაზიარებისა და დეტალური უკუკავშირისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან ერემაძეს. მადლობას იმსახურებს აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ყველა ის თანამშრომელი, რომელმაც გაითვალისწინა ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ქვეყანაში არსებული ვითარება, იმოქმედა სტუდენტების ინტერესების შესაბამისად და გამოგვიყო დამატებითი დრო კვლევის დასასრულებლად.

კვლევის ფარგლებში, რელევანტური საჯარო ინფორმაციის მოძიებისა და რესპოდენტებთან დაკავშირების პროცესში, მნიშვნელოვანი დახმარება გამიწიეს ჩემმა თანამშრომლებმა. სწორედ ამიტომ, მადლობა მინდა გადავუხადო სოციალური სამართლიანობის ცენტრს. რასაკვირველია, ჩემგან მადლობასა და მათი საქმიანობის გამო დიდ პატივისცემას იმსახურებენ ჩემი რესპოდენტები: სოციალური სამართლიანობის ცენტრის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ადვოკატები, რომლებმაც თავიანთი გამოცდილება გამიზიარეს საკვლევი საკითხების შესახებ. მათგან მიღებული ინფორმაცია დამეხმარა, ნაშრომი სანდო და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციებით შემევსო.